საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№10 / 2010

# „აქ ღირსეულად მოვედი, დაპირებების გარეშე“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის – ბადრი დიასამიძის კარიერა რიგითი მუშის საფეხურით დაიწყო. როგორც ამბობს, „ლაფატკაზეც მიმუშავია... მამაჩემი ავადმყოფი კაცი იყო და სოფელში, რაც ხელით გასაკეთებელი იყო, ხვნა – თესვით დაწყებული – მშენებლობით დამთავრებული, ყველაფერს მე ვაკეთებდი. სამაგიეროდ, ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა საქმეში ჩახედული ვარ“.

წარმატებული მუშა „პრარაბად“ დანიშნეს, მოგვიანებით მშენებლობაზე ათმეთაურობა ჩააბარეს, ბოლოს კი მშენებლობის მწარმოებელი გახდა. მუშაობდა დაცვის სამსახურშიც, საბაჟოზეც... „საბაჟოზე მუშაობით ბევრ ქედელს დავეხმარე. იქ მუშაობა ისეთ პერიოდში მომიწია (1991-2000), როცა თურქეთში გადასვლა-გადმოსვლა ფასიანი იყო და მოსახლეობა პრობლემებს აწყდებოდა. ვინც მაშინ დახმარება მთხოვა, ყველას გავუწოდე ხელი. მე ჩემი ხალხის შუამავალი გავხდი. იმ პერიოდში „კომუნისტს“ მეძახდნენ, რადგან ხალხისთვის ვმუშაობდი და არა ფულისთვის. მიუხედავად ამისა პატარ—პატარა ჭორები მაინც ვრცელდებოდა, მაგრამ მე იმ სამსახურით ნამდვილად არ გავმდიდრებულვარ, მხოლოდ ერთი ტელევიზორი შევიძინე“– გვითხრა ბადრი დიასამიძემ.

შემდეგი ნაბიჯი ბადრი დიასამიძის კარიერაში საარჩევნო ოლქი იყო. ჯერ №80/7 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე იყო, შემდეგ ქედის №80 საარჩევნო ოლქის პარტიული წევრი „„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. დიასამიძე ამბობს, რომ „სანამ მე ვმუშაობდი, ოლქში არჩევნები არ გაყალბებულა. იქ სუფთად კეთდებოდა საქმე და უბნებში რა ხდებოდა, არ ვიცი. ყველას ვეუბნებოდი, თუ შენიშვნა გამოსწორებადია, გამოვასწოროთ და ტყუილად სკანდალს ნუ ავტეხავთ-მეთქი. დღესაც ამ დევიზით მოვდივარ. ჩემკენ ხელს ვერავინ გამოიწვდის, არჩევნები გამიყალბაო“.

ქედის საარჩევნო ოლქიდან ბადრი დიასამიძე იმავე მუნიციპალიტეტში საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლად დანიშნეს. ამჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ თავისი ხალხისათვის საქმის კეთება სწორედ ამ პერიოდში შეძლო და მოსახლეობის უმეტესობამ აქედან გაიცნო: „მოსახლეობას ხან ეზო ჰქონდა გამოსაწმენდი, ხან ბულდოზერის პატარა სამუშაო... გლეხს სად აქვს ტრაქტორის დასაქირავებელი ფული; მის საქმეს ყველაზე დიდი, 10 ლიტრი სალიარკა დაჭირვებოდა. როცა გზას ვაკეთებდით, მთხოვდნენ დახმარებას და მეც ვეხმარებოდი. 10 ლიტრი საწვავი ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, სამაგიეროდ, ხალხის გულს ვიგებდი და როცა მათი გვერდში დგომა დამჭირდა, ისინიც დამიდგნენ. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ გზის მშენებლობაში ჩემი მუშაობით რაღაცა კვალი დავტოვე“.

ქედაში ამბობენ, რომ ბადრი დიასამიძე გზებს დღესაც დიდ ყურადღებას აქცევს: „ვიცი, რა პრობლემებია ქედაში გზებთან დაკავშირებით და სხვაგვარად არ შემიძლია. ერთადერთი ტექნიკა ჩვენთან ბულდოზერია და მოწესრიგებული გზებისთვის ეს საკმარისი არ არის. მოგეხსენებათ სოფლის პირობები... ერთი კოკისპირული წვიმა და გზის ნაცვლად გამვლელს დამეწყრილი ტერიტორია და ორმოები დახვდება. დამეწყრილს გაწმენდა უნდა, ორმოს ამოვსება... ამისთვის შესაბამისი ტექნიკა გვჭირდება. ერთი თვითმცლელი და ექსკავატორი მუნიციპალიტეტს აუცილებლად სჭირდება. გზის მომვლელები სისტემატიურად მუშაობენ გზაზე, ეს ტექნიკაც რომ შეგვაძენინა, ქედის მუნიციპალიტეტში გზის პრობლემა გადაწყდება“.

ბადრი დიასამიძეს ძველი საკრებულოსგან მემკვიდრეობით „კარგი აპარატი“ დარჩა. ამბობს, რომ „ძლიერი კოლექტივია. ყველამ იცის თავისი საქმე და ეს ჩემი წანამორბედის დამსახურებაა. კარგი კადრები დამიტოვა და აქ თავი უცხოდ არ მიგრძვნია. ყველა პრობლემაზე ერთად ვფიქრობთ, ვმსჯელობთ და შედეგიც არის: თითქმის ყველა საკითხი სამართლიანად წყდება“.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იმაზე წუხს, რომ ქედაში დასაქმების პრობლემაა და ამ ეტაპზე მის ძალებს აღემატება სამუშაო ადგილების შექმნა. ამიტომ, სოფელში ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად მოსახლეობას ურჩევს, ბოსტნეული კულტურები მოაშენოს, რაც უსათუოდ მისცემს მოსავალს. მუნიციპალიტეტების პრობლემებში დიასამიძე არაეფექტური შხამ-ქიმიკატების შემოტანასაც ასახელებს: „ისეთი სპეციალისტი გვჭირდება, ვისაც ექნება შესაბამისი ლიცენზია და ხარისხიან შხამ-ქიმიკატებს შემოიტანს, რათა ხალხს მოსავალი არ გაუფუჭოს. გვქონდა შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტში შემოტანილი შხამ-ქიმიკატები ვადაგასული აღმოჩნდა და მთელი წლის ნალოლიავები მოსავალი გაუფუჭა გლეხებს“.

დიასამიძე ქედაში ისეთი ხილის მოშენებასაც გეგმავს, რომელიც მოსავალს გვიან შემოდგომაზე მისცემს. მისი გათვლებით ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პროცესები ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო სურსათზე მოთხოვნას გაზრდის. იგი ქედელებს მეფუტკრეობის განვითარებისკენაც მოუწოდებს. მისი თქმით, ფულის კეთება ტყის კენკროვანი ხილითაც შეიძლება: „მთაში მოცვი შემოდის და მისი ფულად ქცევაც შეიძლება. ადგილზე კილოგრამის ჩაბარება 1,6 ლარი ღირს, ქალაქში უფრო ძვირი. ამ მხრივაც სჭირდება ხალხს გვერდში დგომა“.

საკრებულოს თავმჯდომარე წუხს, რომ მუნიციპალიტეტში ავტომობილის პრობლემა ჰქონდათ და ამ დღეებში მოსახლეობასთან შეხვედრა ვერ მოახერხა. „ჩვენ სოფელ-სოფელ, კარდაკარ, ოჯახ-ოჯახ ყოველდღე უნდა დავდიოდეთ... ყანაში რომ მუშაობს გლეხი, იქ უნდა მიხვიდე და დაელაპარაკო. ვწუხვარ, რომ ამისთვის დრო ცოტა მაქვს, თუმცა მეტ-ნაკლებად მაინც ვახერხებ. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, საკრებულოს თავმჯდომარეს კაბინეტში ამდენი ხნით დაკავება თუ უწევდა. საქმის კეთება ყოველთვის ძნელია, გინდა მაღალ საფეხურზე იდგე და გინდა დაბალზე. მთავარია, ადამიანი იყო, ზემოდან არავის არ უნდა გადმოხედო. ვისაც ყოველთვის სუფთა აქვს ხელები, იმას უნდა დაუდგე გვერდში. ეს არის ჩემი და მთლიანად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დევიზი! აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ კომფორტი შევიქმნა, კარგ ავტომანქანაში დავჯდე და აქეთ-იქით ვირბინო. მე ჩემი ხალხის გვერდში ვდგავარ და აქ ვიქნები ყოველთვის! ვცდილობ, მეტი დრო გავატარო ხალხთან... მინდა, ჩემი თვითმმართველობაში ყოფნის 4 წელი ხალხს მივუძღვნა და ვადა რომ ამომეწურება, სათქმელი მქონდეს. ამ ხნის განმავლობაში თავს არ დავზოგავ, რათა ხალხს გავუუმჯობესო ცხოვრების პირობები“.



***ბადრი დიასამიძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

„თუ საქმეს ვერ აკეთებ, უნდა წახვიდე“ – მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ეს არის მისი, როგორც დეპუტატის დევიზი. „თუ ქუჩაში რაღაც წამოგაძახეს, მაშინ თანამდებობაზე გასაჩერებელი აღარ ხარ!“ – აცხადებს დიასამიძე.

როგორ მოვიდა ბადრი დიასამიძე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში? – წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც ამბობენ, ამავე მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილ რეიტინგში შემთხვევით მოხვდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიაში მეორე ადგილი დაუკავებია (პირველი ნომერი ქედის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი გამგებელი ირაკლი ბარამიძე იყო). დიასამიძეს ეჭვი აქვს, რომ ეს პატივი ხელისუფლების მხრიდან ქედის №80 საარჩევნო ოლქში პატიოსანი მუშაობით დაიმსახურა, ხოლო მოსახლეობაში ავტორიტეტი საგზაო დეპარტამენტში მუშაობით მოიპოვა. „აქ ღირსეულად მოვედი, დაპირებების გარეშე“ – ამბობს ის და დასძენს: „მოსახლეობის წინაშე ვალდებული ვარ. მეც მინდა, ისე დავუდგე გვერდში, როგორც ხალხი დამიდგა თავის დროზე“. ბადრი დიასამიძე მომდევნო თვითმმართველობის არჩევნებში კიდევ იყრის თუ არა კენჭს, ჯერ არ გადაუწყვეტია: „ეს ხალხზეა დამოკიდებული. ჯერ თუ დავიმსახურებ და შემდეგ თუ ხალხი მომცემს ნებას, ამ შემთხვევაში კენჭს ვიყრი. მოკლედ ეს საკითხი ხალხის გადასაწყვეტია“.

ბადრი დიასამიძის ერთ-ერთი პრიორიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაა. იგი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტისთვის ეს მომგებიანია. „ხალხთან ამბის მიტანა, გადამზადება... ბევრი პლუსი აქვს ამ სექტორთან მუშაობას. თუნდაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ საქმიანობა ავიღოთ. წინასაარჩევნო პერიოდში დიდი დახმარება გაგვიწია ამ ორგანიზაციამ. მოსახლეობა საარჩევნოდ იმდენად უზრუნველყო ინფორმაციით, რომ როცა მათთან შესახვედრად გავდიოდით, ვინ ვიყავით და საიდან, რატომ ვხვდებოდით მათ და რის მიღწევას ვცდილობდით, ამის ახსნა-განმარტება აღარ გვჭირდებოდა. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით მეტ-ნაკლებად დარეგულირდა პოლიტიკური პარტიების ურთიერთობა. ახლახან ჩვენი (და არამარტო ჩვენი) საკრებულოს წევრებმა გაიარეს ტრენინგები საბიუჯეტო და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. შემდეგ აქ, ადგილზე, სხვა წევრებისთვისაც ჩავატარეთ ტრენინგი და რა ხარვეზებიც გვქონდა, მეტ-ნაკლებად შევავსეთ. ესეც „ინტელექტის“ დამსახურებაა. ჩამონათვალის გაგრძელება შორს წაგვიყვანს... ფაქტია, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობით მუნიციპალიტეტები მოგებული ვრჩებით. ახლა კიდევ ელექტრონული შესყიდვები უნდა დაინერგოს (კანონი ძალაში შევიდა). რადგან შესაბამისი გამოცდილება არ გვაქვს, ალბათ გადამზადება დაგვჭირდება და დიდად დაგვავალებთ არასამთავრობო სექტორი, თუ ამ საქმეშიც გვერდით დაგვიდგებით. ყველა სიახლეს უნდა დავეუფლოთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ბადრი დიასამიძეს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ შემუშავებულ „კარგი მმართველობის დეკლარაციაზე“ ხელი არ მოუწერია (ეს დეკლარაცია გათვლილი იყო მაჟორიტარობის კანდიდატებზე ხელმოსაწერად), იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას და ქედის მინიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილას ინახავს. დიასამიძე მიიჩნევს, რომ „დეკლარაციაში მოცემული საკითხები უნდა გახდეს ყველა მუნიციპალიტეტის დევიზი და მას უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობა“.

# ასე ხუმრობენ საკრებულოს წევრები

აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები დაბა ბაკურიანში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგზე დასასწრებად შეიკრიბნენ. ისინი შიგადაშიგ ოხუნჯობდნენ კიდეც. გთავაზობთ რეპლიკებს მათი საუბრიდან:



ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის საკრებულოს წევრები საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგის მოსასმენად შეიკრიბნენ. ტრენერების თხოვნითა და ერთმანეთის გაცნობის მიზნით ტრენინგის მონაწილეებს მეზობელი კოლეგის წარდგენა დაევალათ. ქედელი შოთა სამნიძე და შუახეველი მაყვალა ჯოიძე გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ და შესაბამისად ერთმანეთი წარუდგინეს შეხვედრის მონაწილეებს. „როგორც აღმოჩნდა, ორივე ერთ დღეში ვართ, უმუშევარი მეუღლეები გვყავს, ჩვენ ხელფასს ვიღებთ და ისინი გვიხარჯავენ“ – აღნიშნა სინანულით შოთა სამნიძემ.

მონიტორზე ჩანს, რომ ევროკავშირი თეატრში მიდის და ყველა რიგს იცავს, თავის ადგილზე ჯდება. მეორე კადრში იტალია მიდის თეატრში და ადგილები დასწრებაზეა, არავინ არავის არ აცლის გავლას. შუახეველმა მევლუდ ჭურკვეიძემ დაასკვნა: „ეს ხოხოლაა ჩვენთანაც!“

„საკრებულოში მუშაობა კარგია: სანამ გამგეობაში ვიყავი, მავალებდნენ და მათ დავალებას უსიტყვოდ ვასრულებდი, ახლა მე ვავალებ და ისინი ასრულებენ“ – თამაზ ლორთქიფანიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

„ჯერჯერობით ვკოჭლობთ და ისე ვერ მივდივართ წინ, როგორც გვინდა... მაგრამ მალე წავალთ!“ – სულიკო მიქელაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

ორი შუახეველი და ერთი ქედელი ერთ სამუშაო ჯგუფში გაერთიანდნენ. „ჯემალ ნუ გეშინია, დიდი მერისი ჩვენთანაა“ – მიმართა კოლეგას ზაზა დავითაძემ.

ქედელი ჯემალ შარაძე 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის მოადგილედ მუშაობდა. ახლა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. შეწუხებული მერისელები ეკითხებიან: „ჯემალ, ნეტაი რატომ დაგაქვეითეს? ისე მოადგილეობას მაინც ვერ აცდი!“

რადგან „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები ქედის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულს „ქედელობას“ დაემთხვა, შესაბამისად ტრენინგზე ქედის მუნიციპალიტეტი მხოლოდ საკრებულოს ორი წევრით იყო წარმოდგენილი. სხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა იმდენჯერ ახსენეს „ქედელობა“ და ზეიმი, სანამ იმ ორ წარმომადგენელს სახალხო დღესასწაული ბაკურიანში არ აღნიშნინეს.

საკრებულოს წევრებს ტრენინგის მიმდინარეობისას სხვადასხვა პრაქტიკული სამუშაოების შესრულება დაევალათ. თითოელ ჯგუფში 3-3 საკრებულოს წევრი მუშაობდა. გთავაზობთ ყველაზე ორიგინალურ ვარიანტებს:

**შეადარეთ თქვენი მუნიციპალიტეტი ავტომანქანას (მეტაფორა – მანქანა)**

**ქედის მუნიციპალიტეტი**

რა მოდელია ავტომანქანა? – თვითმმართველი
რომელ წელს არის გამოშვებული? – 2010 წელს
როგორია ტექნიკური მდგომარეობა? – გამართული
საჭესთან ვინ ზის? – საკრებულოს თავმჯდომარე
მძღოლის გვერდით ვინ ზის? – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ვინ ზის მძღოლის უკან? – საკრებულოს წევრები
სად იმყოფება ავტომანქანა? – ქედაში
რა სიჩქარით მიდის ავტომანქანა? – ნელი სვლით
საბოლოო გაჩერება სად არის? – ნატოში
რა საგზაო ნიშნები ხვდება გზაზე? – გაჩერება აკრძალულია
როგორია გზის მდგომარეობა? – უსწორმასწორო
როგორი ამინდია? – წვიმიანი
სად არის ბენზინგასამართი ადგილი? – პარლამენტში
სად არის ტექგასამართი ადგილი? – ბათუმში
რა წინააღმდეგობები ხვდება გზაზე? – ფინანსების უკმარისობა

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი:**

რა მოდელია ავტომანქანა? – სტანდარტული
რომელ წელს არის გამოშვებული? – 2006 წელს
როგორია ტექნიკური მდგომარეობა? – არა უჭირს რა, მაგრამ ამას წინათ „კრილოები“ ჩამოაჭრეს, ერთი სდავარძელი წაართვეს...
საჭესთან ვინ ზის? – „ახლადპრავანაყიდი“
მძღოლის გვერდით ვინ ზის? – იცის შტურმანობა, მაგრამ არ ეკითხებიან
ვინ ზის მძღოლის უკან? – 3 მგზავრიდან 2-ს ძინავს
სად იმყოფება ავტომანქანა? – წრეზე
რა სიჩქარით მიდის ავტომანქანა? – კანონით დადგენილ სიჩქარემდეც ვერ ადის
საბოლოო გაჩერება სად არის? – წრის ნებისმიერ წერტილზე, სადაც უბრზანებენ
რა საგზაო ნიშნები ხვდება გზაზე? – ვინ აქცევს ყურადღებას...
როგორია გზის მდგომარეობა? – მოსათმენი
როგორი ამინდია? – ცვალებადი მოღრუბლულობა
სად არის ბენზინგასამართი ადგილი? – შორს, თბილისში
სად არის ტექგასამართი ადგილი? – შორს, ბათუმში
რა წინააღმდეგობები ხვდება გზაზე? – პოლიტიკური ნების უქონლობა

**შუახევის მუნიციპალიტეტი:**

რა მოდელია ავტომანქანა? – ფორდი
რომელ წელს არის გამოშვებული? – 2004 წელს
როგორია ტექნიკური მდგომარეობა? – საშუალო
საჭესთან ვინ ზის? – მძღოლი
მძღოლის გვერდით ვინ ზის? – საჯარო მოხელე
ვინ ზის მძღოლის უკან? – ხალხი
სად იმყოფება ავტომანქანა? – შუახევში
რა სიჩქარით მიდის ავტომანქანა? – საშუალო სიჩქარით
საბოლოო გაჩერება სად არის? – საქართველოში
რა საგზაო ნიშნები ხვდება გზაზე? – ფრთხილად, დაბრკოლებაა
როგორია გზის მდგომარეობა? – საშუალო დონის, მეორე ხარისხის
როგორი ამინდია? – ამინდს კლიმატი განსაზღვრავს
სად არის ბენზინგასამართი ადგილი? – შუახევში
სად არის ტექგასამართი ადგილი? – შუახევში
რა წინააღმდეგობები ხვდება გზაზე? – დიდი გლობალური არაფერი

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი:**

რა მოდელია ავტომანქანა? – მიცუბიში
რომელ წელს არის გამოშვებული? – 1998 წელს
როგორია ტექნიკური მდგომარეობა? – გამართული
საჭესთან ვინ ზის? – საკრებულოს თავმჯდომარე
მძღოლის გვერდით ვინ ზის? – რაიონის გამგებელი
ვინ ზის მძღოლის უკან? – რაიონი
სად იმყოფება ავტომანქანა? – მუნიციპალიტეტში
რა სიჩქარით მიდის ავტომანქანა? – შენელებული სვლით
საბოლოო გაჩერება სად არის? – „სახლში“
რა საგზაო ნიშნები ხვდება გზაზე? – გამაფრთხილებელი
როგორია გზის მდგომარეობა? – მძღოლზეა დამოკიდებული
როგორი ამინდია? – მოღრუბლული
სად არის ბენზინგასამართი ადგილი? – თბილისში
სად არის ტექგასამართი ადგილი? – გააჩნია დაზიანებას
რა წინააღმდეგობები ხვდება გზაზე? – გზია შევიწროებები

**ხულოს მუნიციპალიტეტი:**

რა მოდელია ავტომანქანა? – რენაუტი
რომელ წელს არის გამოშვებული? – 1990 წელს
როგორია ტექნიკური მდგომარეობა? – საშუალო
საჭესთან ვინ ზის? – პროფესიონალი
მძღოლის გვერდით ვინ ზის? – მეტ-ნაკლებად პროფესიონალი
ვინ ზის მძღოლის უკან? – მოსახლეობა
სად იმყოფება ავტომანქანა? – ნახევრად მოასფალტებულ გზაზე
რა სიჩქარით მიდის ავტომანქანა? – 75 კმ/სთ
საბოლოო გაჩერება სად არის? – ევროპაში
რა საგზაო ნიშნები ხვდება გზაზე? – გაცერება და დგომა აკრძალულია
როგორია გზის მდგომარეობა? – საშუალო. მიმდინარეობს რეაბილიტაცია
როგორი ამინდია? – ღრუბლიანი
სად არის ბენზინგასამართი ადგილი? – მუნიციპალიტეტში
სად არის ტექგასამართი ადგილი? – ჯერჯერობით დედაქალაქში
რა წინააღმდეგობები ხვდება გზაზე? – მეზობლის ავტომანქანა



2 დავალება:

„ჯინაზე“ მიღებული გადაწყვეტილება

ტრენინგის მონაწილეები პირობითად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები აღმოჩნდნენ და თვითმფრინავით ეგვიპტეში დასასვენებლად წასვლა გადაწყვიტეს. თვითმფრინავი უდაბნოში ჩამოვარდა, პილოტები დაიღუპნენ. მათ ვერ მოასწრეს მართვის ცენტრისათვის იმ ზუსტი მდებარეობის გადაცემა, სადაც ჩამოვარდა თვითმფრინავი. სიცხე 70 გრადუსია, დასახლებული პუნქტი 150 კმ-ში მდებარეობს. კითხვა ტრენინგის მონაწილეებს: რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, წახვალთ დასახლებული პუნქტისაკენ თუ დარჩებით?

დავალების შესრულებაში მონაწილეობას 19 საკრებულოს (პირობითად ქობულეთის, რეალურად აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის) წევრი იღებდა. ყველამ ერთხმად გადაწყვიტა შემთხვევის ადგილს სასწრაფოდ გაცლოდა და დასახლებული პუნქტი მოეძებნა. მხოლოდ ერთმა წევრმა – ვახტანგ კახიძემ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქრისტიან-დემოკრატებიდან) მიიღო გადაწყვეტყილება ადგილზე დარჩენილიყო. შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ გამოსავალი არა გაქცევა, არამედ ადგილზე დარჩენა იყო, რადგან ძებნისას შემთხვევის ადგილზე დაიწყებდნენ მგზავრების ძებნას. „მე ამათ ჯინაზე ვთქვი დავრჩები-მეთქი და მართალი აღმოვჩნდი“ – განაცხადა გახარებულმა ვახტანგ კახიძემ.

3 დავალება:

გარიყულას ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა, ანუ საკრებულოს ხელმომჭირნე წევრები

ტრენინგის მონაწილეებს პირობითად ქალაქ „გარიყულას“ მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენა დაევალათ. 650,000 ლარი უნდა გადაენაწილებინათ 12 მიზნობრივ პროგრამაზე – პრიორიტეტზე. თორმეტივე პროექტის დაფინანსებას კი 1,149,000 ლარი სჭირდება.

გარიყულას ყველა დეპუტატი მისთვის მნიშვნელოვანი მიზნობრივი პროექტის დაფინანსებას ითხოვდა. ხელვაჩაურელი ვახტანგ კახიძე ახალგაზრდული პროგრამებისათვის საზოგადოებრივი ცენტრის გაფართოებისთვის 150,000 ლარს ითხოვდა და მხოლოდ 50,000 დაუფინანსეს. შუახეველი ზურაბ ქათამაძე კი 10 კომპიუტერის შესაძენად 80,000 ლარს ითხოვდა, რამაც კახიძის გულისწყრომა გამოიწვია: „ბაღნები მიმოჩეჩებული მყავს გზა-შარაში და ეს ამდენ ფულს კომპიუტერისთვის ითხოვს?“

ქედელი შოთა სამნიძე ხელფასების გაზრდას მოითხოვდა. მისი საკითხის განხილვას როგორც იქნა, დაადგა საშველი – ბოლოსთვის შემოინახეს და მათთვის სასარგებლოც აღმოჩნდა. დეპუტატებმა იმდენი ეკონომია გააკეთეს, რომ 225,000 ლარი მოიტოვეს და ბოლოს ყველა ხელფასების გაზრდას მოახმარეს. „ხელფასების გაზრდა კარგია, მაგრამ სოფიკო (ტრენინგის მონაწილე და „გარიყულას“ საკრებულოს ოპოზიციონერი წევრი) დაურეკავს პროკურატურას და დაგვიჭერენ“ – იეჭვა ქობულეთელმა ჯემალ კარალიძემ.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge